აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების 2015 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 123 720,1 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 144 810,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 117,0 პროცენტია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (111 974,8 ათასი ლარი) შედარებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 32 835,7 ათასი ლარით, ანუ 29,3 პროცენტით.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 114 628,1 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 133 882,0 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 116,8 პროცენტით. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (107 899,4 ათასი ლარი) შედარებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 25 982,6 ათასი ლარით, ანუ 24,1 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის სამი კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 91,4 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 103 500,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 122 338,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 118,2 პროცენტი.

საანგარიშო პერიოდის საშემოსავლო გადასახადი 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 99 224,3 ათას ლარს, გაზრდილია 23 114,4 ათასი ლარით, ანუ 23,3 პროცენტით. გარდა ამისა დაუბეგრავი მინიმუმის სახით დაბრუნებულმა თანხამ ექვს თვეში შეადგინა 1 844,3 ათასი ლარი.

საშემოსავლო გადასახადის 2014-2015 წლების სამი კვარტლის შესრულება



2. გრანტები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის სამი კვარტლის გრანტების გეგმა განისაზღვრა 5 786,4 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის #594 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ - სრულიად მუსლიმთა სამმართველოსათვის სარგებლობაში (მართვის უფლებით) გადასაცემი ქ. ბათუმში ანგისის დასახლებაში მდებარე ქონებისა (მიწა(უძრავი ქონება) და შპს „CRISTAL"-ის 100 %-იანი წილის შეძენის მიზნით გამოეყო 4 486,4 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის #141 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტისათვის გამოყოფილია 1 333,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 300,0 ათას ლარს. ხოლო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საანგარიშო პერიოდში დაფინანსებამ შეადგინა 5 546,2 ათასი ლარი.

3. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის სამი კვარტლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 5 341,7 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 5 997,1 ათასი ლარი ანუ გეგმის 112,3 პროცენტი.

სხვა შემოსავლების სამი კვარტლის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე:

პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 2 687,9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 839,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105,7 პროცენტი; შემოსავალი დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 622,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 655,2 ათასი ლარი, გეგმის 105,3 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 226,9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 387,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 170,6 პროცენტი, (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 342,1 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 430,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 125,9 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 231,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 290,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 125,8 პროცენტი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 1 231,8 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 393,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 113,2 პროცენტი.



4. არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2015 წლის სამი კვარტლის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 9 092,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 10 928,5 ათას ლარს, ანუ გეგმის 120,2 პროცენტი. მათ შორის: ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 396,0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 7 883,5 ათასი ლარი, ხოლო მატერიალური მარაგებისა და ფასეულობების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 649,0 ათასი ლარი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2015 წლის ცხრა თვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაზუსტებული გადასახდელები 124 271,8 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 112 516,4 ათას ლარს, რაც გეგმის 90,5 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2015 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 3 644,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3 448,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2015 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 438,2 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 421,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,2 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მასთან არსებული ორგანიზაციებისათვის 2015 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 32 024,1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 29 699,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 92,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2015 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 16 065,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 15 564,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96,9 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2015 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 25 856,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 23 385,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2015 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა

ასიგნებებმა 7 191,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 6 760,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 94,0 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 5 157,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 5 036,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 97,7 პროცენტია.

უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2015 წლის ცხრა თვეში გამოყოფილი 1 968,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 725,2 ათასი ლარი, გეგმის 87,7 პროცენტი, მათ შორის სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 1 020,1 ათასი ლარი, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ – 705,1 ათასი ლარი.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდის ხარჯებს, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, 2015 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 31 926,0 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება - 26 474,0 ათას ლარს, რაც გეგმის 82,9 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2015 წლის ცხრა თვის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 1 558,8 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

2015 წლის 30 იანვრის #14 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო ამაიაკ მანუკიანის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 30 იანვრის #15 ბრძანების შესაბამისად 15,0 ათასი ლარი გამოიყო ტატიანა მეგრელიშვილისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 30 იანვრის #16 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო ემზარ ზოიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 9 თებერვლის #19 ბრძანების შესაბამისად 23,4 ათასი ლარი გამოიყო მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 9 თებერვლის #20 ბრძანების შესაბამისად 38,6 ათასი ლარი გამოიყო სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #25 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო თამილა მახარაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #26 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო მალხაზ შავიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #27 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი გამოიყო ლეილა ნაკაშიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #28 ბრძანების შესაბამისად 3,4 ათასი ლარი გამოიყო ნაზიბროლა შანთაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #29 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ირაკლი გოჩაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #30 ბრძანების შესაბამისად 5,2 ათასი ლარი გამოიყო ნანა ბაუჟაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #31 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო ლუკა აბულაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #32 ბრძანების შესაბამისად 2,7 ათასი ლარი გამოიყო ზია ზოიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #33 ბრძანების შესაბამისად 2,4 ათასი ლარი გამოიყო შაქრო ცეცხლაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #34 ბრძანების შესაბამისად 0,9 ათასი ლარი გამოიყო თამთა ფუტკარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #35 ბრძანების შესაბამისად 1,4 ათასი ლარი გამოიყო სალომე ხალვაშისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 თებერვლის #36 ბრძანების შესაბამისად 10,1 ათასი ლარი გამოიყო ამირან ხინკილაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 27 თებერვლის #44 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო მამუკა წულუკიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #55 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო საპროექტო დოკუმენტაციის შეძენის მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #56 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო სესილი კირთაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #57 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო გენადი რიჟვაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #58 ბრძანების შესაბამისად 60,4 ათასი ლარი გამოიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივი აღსრულების მიზნით;

2015 წლის 10 მარტის #60 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო მამუკა დევაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 18 მარტის #68 ბრძანების შესაბამისად 15,0 ათასი ლარი გამოიყო თაისია მგელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 მარტის #69 ბრძანების შესაბამისად 25,0 ათასი ლარი გამოიყო 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მარტისა და აპრილის თვეების საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად;

2015 წლის 19 მარტის #70 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ლიკა ზაქარაძისათვის მედიკამენტ აქტემრას შეძენის მიზნით;

2015 წლის 20 მარტის #74 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო მაყვალა ტაკიძისათვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 27 მარტის #76 ბრძანების შესაბამისად 3,5 ათასი ლარი გამოიყო თენგიზ ტრაპაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 8 აპრილის #90 ბრძანების შესაბამისად 2,9 ათასი ლარი გამოიყო ნინო კახიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 8 აპრილის #92 ბრძანების შესაბამისად 13,4 ათასი ლარი გამოიყო ხანძრის შედეგად დაზარლებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2015 წლის 23 აპრილის #98 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო რომან ცინცაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 აპრილის #99 ბრძანების შესაბამისად 1,2 ათასი ლარი გამოიყო მილარეტა შავაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 აპრილის #100 ბრძანების შესაბამისად 11,2 ათასი ლარი გამოიყო ზვიად გორაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 აპრილის #101 ბრძანების შესაბამისად 8,0 ათასი ლარი გამოიყო აიშე შოთაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 აპრილის #103 ბრძანების შესაბამისად 53,3 ათასი ლარი გამოიყო მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის მიზნით;

2015 წლის 8 მაისის #116 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ჟუჟუნა თურმანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 8 მაისის #117 ბრძანების შესაბამისად 1,4 ათასი ლარი გამოიყო ნატო სარხანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 8 მაისის #118 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო ამირან ქამადაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 8 მაისის #119 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო გაიოზ ლასტაკანიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 13 მაისის #122 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ირმა კიღურაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 18 მაისის #124 ბრძანების შესაბამისად 30,0 ათასი ლარი გამოიყო ჭადრაკში 2015 წლის ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატის ქალაქ ბათუმში გამართვის მხარდასაჭერად;

2015 წლის 18 მაისის #125 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო რუსუდან ჯაყელისათვის მედიკამენტ იქსგევას შეძენის მიზნით;

2015 წლის 18 მაისის #126 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ინგა ხარაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 მაისის #132 ბრძანების შესაბამისად 0,6 ათასი ლარი გამოიყო ქალაქ ქობულეთში ხანძრის შედეგად გარდაცვლილი სამი მოზარდის ცხედრის ქალაქ ბათუმიდან ქალაქ რუსთავში ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურების მიზნით;

2015 წლის 19 მაისის #133 ბრძანების შესაბამისად 1,5 ათასი ლარი გამოიყო მამუკა წულუკიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 19 მაისის #134 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გამოიყო დემეტრე ვერულიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 20 მაისის #138 ბრძანების შესაბამისად 1,2 ათასი ლარი გამოიყო ასლან მჟავანაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 20 მაისის #139 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო მამია წილოსანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 20 მაისის #140 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო თორნიკე დოლიძის თურქეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტირებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 20 მაისის #141 ბრძანების შესაბამისად 4,3 ათასი ლარი გამოიყო ალექსანდრე ფუტკარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 29 მაისის #143 ბრძანების შესაბამისად 19,5 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების მიზნით;

2015 წლის 29 მაისის #151 ბრძანების შესაბამისად 25,0 ათასი ლარი გამოიყო 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მაისისა და ივნისის თვეების საორგანიზაციო ხარჯების დაფარვის მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #160 ბრძანების შესაბამისად 1,5 ათასი ლარი გამოიყო ლალი კალანდაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #162 ბრძანების შესაბამისად 0,6 ათასი ლარი გამოიყო გიორგი ვანაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #163 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო ემზარ ჩოგაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #164 ბრძანების შესაბამისად 6,7 ათასი ლარი გამოიყო სანიე ველიევასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #165 ბრძანების შესაბამისად 0,7 ათასი ლარი გამოიყო ანა მელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #166 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო თამარ ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #167 ბრძანების შესაბამისად 0,6 ათასი ლარი გამოიყო ოთარ ვანაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #168 ბრძანების შესაბამისად 22,7 ათასი ლარი გამოიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივი აღსრულების მიზნით;

2015 წლის 5 ივნისის #170 ბრძანების შესაბამისად 12,0 ათასი ლარი გამოიყო მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებული 8 ეკომიგრანტი ოჯახის გეოლოგიურად მდგრად ტერიტორიაზე განსახლებისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებისა და მცირე თანხის გადაცემის მიზნით;

2015 წლის 15 ივნისის #176 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი გამოიყო მარინა შიოლაშვილის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 15 ივნისის #177 ბრძანების შესაბამისად 1,1 ათასი ლარი გამოიყო ასლან ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 15 ივნისის #178 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო ზია ლომინაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 15 ივნისის #179 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო ია დიასამიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 ივნისის #191 ბრძანების შესაბამისად 4,2 ათასი ლარი გამოიყო ეთერ შამილიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 ივნისის #192 ბრძანების შესაბამისად 2,4 ათასი ლარი გამოიყო დავით კონცელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 25 ივნისის #193 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო ირმა კიღურაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 25 ივნისის #194 ბრძანების შესაბამისად 0,1 ათასი ლარი სალომე ხალვაშისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 2 ივლისის #202 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი ნატალია შავიშვილის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 2 ივლისის #203 ბრძანების შესაბამისად 1,2 ათასი ლარი მირზა მჟავანაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 2 ივლისის #204 ბრძანების შესაბამისად 0,7 ათასი ლარი თინა ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 2 ივლისის #205 ბრძანების შესაბამისად 1,3 ათასი ლარი თემურ გვარიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 2 ივლისის #206 ბრძანების შესაბამისად 0,5 ათასი ლარი გურანდა აბულაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 6 ივლისის #207 ბრძანების შესაბამისად 18,0 ათასი ლარი ხულოს მუნიციპალიტეტში სამთო იალაღებზე ელექტრო ხაზების აღდგენა;

2015 წლის 8 ივლისის #208 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი რამაზ ტაკიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 8 ივლისის #209 ბრძანების შესაბამისად 50,4 ათასი ლარი სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 9 ივლისის #214 ბრძანების შესაბამისად 11,2 ათასი ლარი საქართველოს შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში ტრანსმისიური დაავადებების გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარების მიზნით;

2015 წლის 10 ივლისის #216 ბრძანების შესაბამისად 1,5 ათასი ლარი სოფიკო ჯაფარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 15 ივლისის #223 ბრძანების შესაბამისად 4,3 ათასი ლარი ვიტალი ქოქოლაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 15 ივლისის #224 ბრძანების შესაბამისად 12,0 ათასი ლარი ზაზა დიასამიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 15 ივლისის #228 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი ანნა ვერულიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 21 ივლისის #234 ბრძანების შესაბამისად 96,0 ათასი ლარი ხანძრის შედეგად დაზარლებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2015 წლის 21 ივლისის #235 ბრძანების შესაბამისად 2,9 ათასი ლარი ჯემალ ჯინჭარაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 21 ივლისის #236 ბრძანების შესაბამისად 20,0 ათასი ლარი ჯაბა აბულაძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 23 ივლისის #239 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გულნარა კვირიკაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაცემად;

2015 წლის 23 ივლისის #240 ბრძანების შესაბამისად 0,9 ათასი ლარი ალექსანდრე ჯაფარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 29 ივლისის #248 ბრძანების შესაბამისად 12,2 ათასი ლარი ომარ გორაძის საფრანგეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსვენებისა და ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 29 ივლისის #249 ბრძანების შესაბამისად 12,3 ათასი ლარი 2015 წლის 31 ივლისს-2 აგვისტოს ქ. ბათუმში ინტელექტუალურ თამაშში ,,რა? სად? როდის?" მე-17 საერთაშორისო ფესტივალის შავი ზღვის IV ღია თასის ორგანიზების მხარდაჭერის მიზნით;

2015 წლის 31 ივლისის #254 ბრძანების შესაბამისად 25,0 ათასი ლარი ა(ა)იპ ,,2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის" 2015 წლის ივლისისა და აგვისტოს თვეების საორგანიზაციო ხარჯების დაფარვის მიზნით;

2015 წლის 4 აგვისტოს #259 ბრძანების შესაბამისად 5,8 ათასი სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სცენის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით;

2015 წლის 13 აგვისტოს #266 ბრძანების შესაბამისად 400,0 ათასი ლარი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობის მიერ შექმნილ

ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,წაბლანა 2015"-ის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის თანადაფინანსების მიზნით;

2015 წლის 17 აგვისტოს #269 ბრძანების შესაბამისად 68,4 ათასი ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების მიზნით;

2015 წლის 17 აგვისტოს #271 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი არჩილ აბესლამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 18 აგვისტოს #273 ბრძანების შესაბამისად 13,0 ათასი ლარი 2015 წლის 13 ივნისს ქ.თბილისში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების წევრების რეაბილიტაცია/დასვენების მიზნით;

2015 წლის 18 აგვისტოს #274 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გულნარა ცეცხლაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 18 აგვისტოს #275 ბრძანების შესაბამისად 7,5 ათასი ლარი ზორბეგ ვარშანიძის ცხედრის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების მიზნით;

2015 წლის 18 აგვისტოს #276 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი თამაზ კიკნაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 4 სექტემბრის #286 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გულნარა საგინაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 4 სექტემბრის #287 ბრძანების შესაბამისად 1,2 ათასი ლარი ნათელა ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 4 სექტემბრის #288 ბრძანების შესაბამისად 1,4 ათასი ლარი შაქრო ბერიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 4 სექტემბრის #289 ბრძანების შესაბამისად 2,0 ათასი ლარი ნათია კონცელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 4 სექტემბრის #291 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი ჟუჟუნა კაჭახმაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 10 სექტემბრის #296 ბრძანების შესაბამისად 2,9 ათასი ლარი მარინა ანანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 11 სექტემბრის #297 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი ანრი ცინცაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 11 სექტემბრის #298 ბრძანების შესაბამისად 2,9 ათასი ლარი ფატი მიქელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 16 სექტემბრის #301 ბრძანების შესაბამისად 9,0 ათასი ლარი 2015 წლის 22-31 აგვისტოს ქ. დონაუშინგენში, მსოფლიო სალიცენზიო ჩემპიონატში მშვილდოსნობაში, სპორტსმენისა და მწვრთნელის მონაწილეობისათვის გაწეული ხარჯის დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 24 სექტემბრის #311 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ენვერ ჩაიძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად მისი ოჯახისათვის მატერიალრი დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 25 სექტემბრის #314 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი მარო საგინაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 25 სექტემბრის #315 ბრძანების შესაბამისად 1,1 ათასი ლარი მუხრან ჯორბენაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2015 წლის 25 სექტემბრის #316 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი თეონა მგალობლიშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 29 სექტემბრის #319 ბრძანების შესაბამისად 7,6 ათასი ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე მატერიალური დახმარების მიზნით;

2015 წლის 29 სექტემბრის #320 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი იმედა კვირიკაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

2015 წლის 29 სექტემბრის #321 ბრძანების შესაბამისად 44,8 ათასი ლარი ეკომიგრანტების ტრასპორტირებისა და სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2015 წლის ცხრა თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21 110,1 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 16 672,8 ათასი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2015 წლის ცხრა თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 455,5 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 455,5 ათასი ლარი;

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურუდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შ.პ.ს. „ჰიგიენა 2009“-ისა და შ.პ.ს. „სტადიონის“ საწესდებო კაპიტალის ზრდა 8 011,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება პროექტებს აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებასა და გაფართოების და ასევე ქ. ბათუმში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობას.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 231,9 ათასი ლარის ოდენობით.

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოების პროექტის და რეგიონის აგრარული სექტორის ხელშეწყობის პროექტებისათვის საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 538,4 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 564,4 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო 2015 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: გარემოსდაცვითი პროგრამა და სატყეო სექტორის განვითარება.

გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას:

აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებულ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 13,4 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 13,4 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრთან“ (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150000893) წყალსატევების აქტიურ დამაბინძურებელ ობიექტებზე წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (210 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 8,4 ათასი ლარი.
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრთან“ (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150000894) ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (132 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 6,6 ათასი ლარი.

3. განხორციელდა ატმოსფერული ჰაერისა და ჩამდინარე წყლების მდგომარეობის მონიტორინგი: ჩატარებული იქნა 114 ატმოსფერული ჰაერის სინჯის ანალიზი და 192 ჩამდინარე წყლის სინჯის ანალიზი, საერთო ღირებულებით 13,4 ათასი ლარი, რომელიც ანაზღაურებულია სრულად. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 34 ფაქტი. ჩამდინარე ზედაპირულ წყალში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების/გაფრქვევის გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 89,3%

აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე ზღვის წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 25,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 23,5 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრთან“ (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150008890) ზღვის წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (150 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 26,0 ათასი ლარი.
2. განხორციელდა 136 ზღვის წყლის სინჯის ანალიზის გამოკვლევა საერთო ღირებულებით 23,5 ათასი ლარი, რომელიც ანაზღაურებულია სრულად. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გარემოსდაცვითი დარღვევები არ გამოვლენილა.

შესრულების პროცენტი: 91,1%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 90,4%

პროგრამა სატყეო სექტორის განვითარების ფარგლებში ხორციელდება სამი ქვეპროგრამა: სატყეო სექტორის მართვა და მომსახურება, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მიერ განსახორციელებელი ორი ქვეპროგრამა: ტყის მოვლა-აღდგენის ქვეპროგრამა და ტყის ფონდის ინვენტარიზაციის (ტყეთმოწყობა) ქვეპროგრამა.

ტყის მოვლა-აღდგენა.

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 99,1 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 79,2 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ინდ. მეწარმე „არჩილ შაინიძესთან“ (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150017657) 118 ჰა ფართობის ტყის კორომების შეღობვისა და 40 ჰა ნიადაგის

აჩიჩქნის/გაწმენდის მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 19,9 ათასი ლარი.

2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ინდ. მეწარმე ,,ზვიად ზურებიანთან“ (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA150011820) 6000 პაკეტის ქერქიჭამიის (4800 ცალი - მბეჭდავი ქერქიჭამიის, 1200 ცალი - კენწეროს ქერქიჭამიის) საწინაღმდეგო ფერომონის შესყიდვაზე, ღირებულებით 79,2 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიწოდებული იქნა სრულად, საკასო ხარჯი შეადგენს 79,2 ათას ლარს.

შესრულების პროცენტი: 79,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 79,9 %

ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა).

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 800,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 644,5 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოსაინფორმაციო სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-თან მრავალწლიანი ხელშეკრულება (ელექტრონული ტენდერი SPA150009814) 141000 ჰა ტყის ფონდის ინვენტარიზაციისა (ტყეთმოწყობა) და ტყის მართვის გეგმის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 1 395,9 ათასი ლარი.
2. განხორციელებული იქნა 250 000 ჰა ფართობის ტყის აეროგადაღება, მომსახურების ფაქტიური და საკასო ხარჯი შეადგენს 250,0 ათას ლარს.
3. საველე სამუშაოების შედეგად განხორციელდა 58 000 ჰა ფართობის ტყის ფონდის ინვენტარიზაცია, გაწეული მომსახურების ღირებულება და საკასო ხარჯი შედგენს 243,6 ათას ლარს.
4. 51 000 ჰა ფართობზე განხორციელდა ტყის პათოლოგიური, ნიადაგების და ბიომრავალფეროვნების კვლევა, მომსახურების ღირებულება და საკასო ხარჯი შეადგენს 17,9 ათას ლარს.
5. 15 000 ჰა ფართობზე განხორციელდა საველე მონაცემების დამუშავება და კამერალური სამუშაოები. მიწოდებული და ანაზღაურებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 33,0 ათას ლარს.
6. 250 000 ჰა ფართობზე განხორციელდა აეროგადაღების მასალების დამუშავება და ორთოფოტოების მომზადება. გაწეული მომსახურების ღირებულება და საკასო ხარჯი შეადგენს 100,0 ათას ლარს.

შესრულების პროცენტი: 80,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 64,5 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2015 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მართვის ქვეპროგრამა და ასევე შემდეგი სამი ქვეპროგრამა:

დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების ქვეპროგრამისთვის საანგარიშო პერიოდის გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

ქვეპროგრამის ღონისძიებების: „ადგილობრივი ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევა“ და „ტურიზმის დარგში სტატისტიკური მონაცემების წარმოება“ ფარგლებში, (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის სფეროში კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად), მიმდინარე წლის აგვისტოს თვიდან მიმდინარეობს კვლევები, რომელიც დასრულდება წლის ბოლოს.

ქვეპროგრამის - კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 0,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ღონისძიების - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებული მრჩეველთა საბჭოს და რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზება“ ფარგლებში ივლისში მოეწყო გაფართოებული სამუშაო შეხვედრა კერძო სექტორთან და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან.

ქვეპროგრამის - დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 1,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი 2015 წლის ივნისის თვეში გაწევრიანდა სოფლად ტურიზმის ევროპულ ფედერაციაში - „EUROGITES”, რომლის საწევრო გადასახდი შეადგენს - 1,5 ათას ლარს.

ღონისძიება - „დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები“ დეპარტამენტის სამუშაო გეგმის გათვალისწინებით დაიგეგმა მიმდინაე წლის ნოემბრის თვეში.

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 781,1 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 708,7 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია (9000 ცალი) სხვადასხვა საპრომოციო (სარეკლამო) მასალები;

დამზადებულია (2600 ცალი) სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალები;

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, მიმდინარე წლის აპრილის თვიდან დაიწყო და დასრულდა საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი სარეკლამო კამპანიები: თურქეთში, პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში და სომხეთში, ხოლო ისრაელში რეკლამის განხორციელების ნაცვლად, მეტი ეფექტურობის მიზნით ისრაელიდან დაიგეგმა და განხორციელდა სარეკლამო-საინფორმაციო ტურები.

რეკლამა განთავსდა საკრუიზო ჟურნალში „Seatrade Cruise Review“ 2015 წლის მარტის და ივნისის გამოცემაში.

წლის დასაწყისიდან 10 ქვეყანაში (ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვია, ბელორუსია, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი), დაიწყო და მიმდინარეობს რეგიონის ონლაინ რეკლამირება სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შედეგად სამი კვარტლის მონაცემებით მივიღეთ:

- 191 311 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: www.goBatumi.com.
- 78 545 ფოლოუვერი სოციალურ ქსელში: www.facebook.com.

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზების ფარგლებში, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 24 პრეს და ინფო ტური, რომლის საშუალებითაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო 180 სტუმარი, მათ შორის: 80 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი და 100 ჟურნალისტი. შედეგად სამიზნე ქვეყნების რეიტინგულ მედია საშუალებებში აჭარის ტურისტული პოტენციალისადმი მიძღვნილი სატელევიზიო სიუჟეტებისა და საგაზეთო სტატიების რაოდენობა შეადგენს 100 ერთეულზე მეტს.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 14 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

1. თურქეთის ტურისტული გამოფენა - „EMITT -2015“
2. ლიტვის ტურისტული გამოფენა „Adventure 2015“
3. ლატვიის ტურისტული გამოფენა - „BALTTOUR-2015“
4. თელავივის ტურისტული გამოფენა- „IMTM-2015“
5. უნგრეთის ტურისტული გამოფენა „UTAZAS (TRAVEL) 2015“
6. გერმანიის ტურისტული გამოფენა - „ITB Berlin -2015“
7. უკრაინის ტურისტული გამოფენა - „UITT – Kiev 2015“
8. მაიამი, აშშ. საკრუიზო გამოფენა - „Cruise Shipping Miami 2015“
9. პოლონეთის ტურისტული გამოფენა - „Katowice International Fair“ (GLOB -2015)
10. ყაზახეთის ტურისტული გამოფენა - „KITF 2015“
11. დუბაის ტურისტული გამოფენა - „ATM- 2015“
12. აზერბაიჯანის ტურისტული გამოფენა - „ITF 2015“
13. ბელორუსიის ტურისტული გამოფენა -„Leisure-2015“
14. ბათუმის ტურისტული გამოფენა - „Expo Batumi-2015“.

შესრულების პროცენტი: 95,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 72,6%

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 110,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 69,1 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია (2000 ცალი) სხვადასხვა საპრომოციო (სარეკლამო) მასალები;

რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირების ფარგლებში, 2015 წლის იანვარ-მარტის პერიოდში განხორციელდა აჭარაში ზამთრის სეზონის ფასდაკლებების რეკლამირება. ასევე სექტემბრის ბოლოს დასრულდა რეგიონში მიმდინარე ღონისძიებების და ფესტივალების რეკლამირება ქვეყნის შიგნით, შესაბამისად თანხის ათვისება მოხდება ოქტომბრის თვეში.

წლის დასაწყისიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება, ღონისძიება - ინტერნეტ რეკლამა საქართველოში, შედეგად სამი კვარტლის მონაცემებით მივიღეთ:

- 110 556 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: www.goBatumi.com.
- 29 352 ფოლოუვერი სოციალურ ქსელში: www.facebook.com.

სარეკლამო-საინფორმაციო (საქართველოს შიდა) ტურების ორგანიზების ფარგლებში, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 4 პრეს და ინფო ტური, ჯამში რეგიონს ეწვია 9 ტურ-ოპერატორი და 35 ჟურნალისტი, შედეგად საქართველოს მედია საშუალებებში აჭარის ტურისტული პოტენციალისადმი მიძღვნილი სატელევიზიო სიუჟეტებისა და საგაზეთო სტატიების რაოდენობა შეადგენს 185 ერთეულზე მეტს.

შესრულების პროცენტი: 62,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 16,4%

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს ოთხ ქვეპროგრამას:

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 277,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 228,4 ათას ლარს. ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს" შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებს. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: დაიბეჭდა 100,0 ათასი ცალი აჭარა-ბათუმის ტურისტული რუკა, რომელიც ტურისტებზე ვრცელდება საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით, ტრენინგი ჩაუტარდა საინფორმაციო ცენტრების 15 თანამშრომელს.

შესრულების პროცენტი: 82,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 55,4%

ქვეპროგრამის - ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 56,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 41,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: ჩაუტარდა ტრენინგი 155 მონაწილეს, მათ შორის:

• ტურისტული სააგენტოების მენეჯერების და ტუროპერატორების ტრენინგი - 40 მონაწილე;

• კვების ობიექტების მენეჯერების ტრენინგი - 15 მონაწილე;

• კვების ობიექტების მიმტანების ტრენინგი - 30 მონაწილე;

• სასტუმროს ადმინისტრატორების ტრენინგი - 40 მონაწილე;

• სასტუმროს მენეჯერების ტრენინგი - 30 მონაწილე.

ტრენინგების მეორე ეტაპი ჩატარდება ნოემბრის თვეში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 74,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 48,2 %

ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის საანგარიშო პერიოდში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს „იდუმალი სტუმრის“ მექანიზმის გამოყენებით ტურისტული ობიექტების (150 ერთეული) კვლევა, რომელიც დაიწყო აგვისტოს თვიდან და ამჟამად მიმდინარეობს დასკვნითი ეტაპი.

ქვეპროგრამის - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 190,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 184,2 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა საახალწლო კონცერტის ორგანიზება და დასრულდა ბათუმის საკრუიზო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. ასევე სექტემბრის თვეში ჩატარდა შემოდგომის ფესტივალი და ფრინველების ფესტივალი. მიმდინარეობს ახალი ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების შექმნა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 76,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო მიმდინარე წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის - საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 122,6 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 122,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაქირავებულია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას; მიმდინარეობს დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში „საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი“

შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 83,7 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი 2015 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 12 807,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 12 608,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2015 წლის საანგარიშო პერიოდში დამთავრდა 19 დასახელების გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა (საერთო სიგრძით 43,0 კმ), კერძოდ: სოფ. ქობულეთი - ჭანკურიძეები - 2010მ, სახ. გზა-გორგაძეები - 2300მ, ჩეხედანა - კობალაძეები - 880მ, ქაქუთი - ნაცხავატები -2415მ, ხუცუბანი - ნაკაიძეები - 1500მ, სახ. გზა - მუხაესტატეს საჯარო სკოლა - 300მ, ყოროლისთავი - ზედა წინსვლა - 1400მ, ორთაბათუმი - მასაურა - 1530მ, მახოს გზა-სიმონეთი - 3250მ, კირნათის გზა - ჩხუტუნეთის გზა - 2000მ, ცეცხლაური - წყავროკა - 1740 მ, კვირიკე - ზედა კვირიკე - 1850 მ, რკ. გადასასვლელი - ბობოყვათი - დაგვა - ქვედა აჭყვა - 2560მ, მახო - დავითაძეები - 3200მ, ქედა - ოქტომბერი - გოგინიძეები - 2500მ, მახუნცეთი - უჩხითი - 3310მ, ცხმორისი - გეგელიძეები - 2760მ, შუახევი - უჩამბა - 3500მ, დიდაჭარა - ღორჯომი - 4000მ.

მიმდინარეობს ასფალტობეტონის საფარის დაგება შემდეგ გზებზე: ქობულეთი-ჭახათი - ცხემლვანა - 4300მ, კვიახიძეების გზა - 3650მ, ხულო -უჩხო - კურცხალი - 5000მ გზის რეაბილიტაცია.

ჩატარდა ტენდერი, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება და ხელშეკრულების გაფორმება შემდეგ გზებზე: სახელმწიფო გზა - ხალვაშები - 2400მ,ლომანაურის გზა - 920 მ, შუახევი - თერნალი - 1800მ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 80,8 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 647,3 ათას ლარს, შესრულება - 2 317,2 ათას ლარს. (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის #141 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოყოფილი იქნა 2014 წლის სექტემბრის თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 1 333,0 ათასი ლარი, რომელიც გათვალისწინებულია ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში) მათ შორის საანგარიშო პერიოდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან გათვალისწინებული 1 300,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 059,8 ათასი ლარის სამუშაოები.

2015 წელს დაგეგმილია საავტომობილო გზებზე 162 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სახსრებიდან გათვალისწინებული 45 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის საქმიანობა:

დასრულდა 4 ხიდის რეაბილიტაცია და 10 მშენებლობა. შენდება 1 ახალი ხიდი და 2-ზე მიმდინარეობს რეაბილიტაცია. 8-ზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურა. 3-ზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

134 ხელოვნური ობიექტიდან 89-ზე დასრულდა, ხოლო 14-ზე მიმდინარეობს სამუშაოები, 25-ზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურა, 6-ზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 51,3 %

ქვეპროგრამაზე - სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 153,6 ათას ლარს, შესრულება - 151,3 ათას ლარს.

2015 წელს დაგეგმილია 7 სარწყავი არხის (საერთო სიგრძით 84.63 კმ) რეკონსტრუქცია. ამჟამად 4 არხზე (54.539 კმ) დასრულდა, ხოლო 3 არხზე (30.090 კმ) მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 53,3 %

ქვეპროგრამის - საგზაო ტექნიკის შეძენა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 612,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 292,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია წლის განმავლობაში 7 ერთეული საგზაო ტექნიკის შეძენა. წლის პირველ ნახევრისათვის შეძენილია 3 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა, ხოლო 3 ერთეული მტვირთავ-ექსკავატორისა და ერთი ერთეული საწვავმზიდის შეძენაზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები. შეძენა გათვალისწინებულია მეოთხე კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 47,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 29,8 %

ქვეპროგრამის - საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 558,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 3 318,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან; შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

შეძენელია მონოლითური ბეტონი, ღორღი და სხვა სამშენებლო მასალები;

მიმდინარეობს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

შეძენელია ლითონისა და პლასტმასის მილები;

გაფორმებულია ხელშეკრულება ავტომანქანების დაზღვევაზე;

ორმულად შეკეთდა ასფალტობეტონის საფარი;

დამზადებულია საგზაო ნიშნები;

მიმდინარეობს 2016 წელში შესასრულებელი სამუშაოებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;

გაცემულია საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,3%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,4 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2015 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისთვის საანგარიშო პერიოდში გათვალისიწნებული იყო 39,4 ათასი ლარი, საიდანაც საკასო შესრულება

შეადგენს 38,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-განელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 20,0 ათასი ლარი;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების გამოქვეყნების საფასურის გადახდა, რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა -0,1 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის გაფორმებული 01/01/2011 N908-1/7-11 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ელ.ენერგიით მომარაგება,რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა -0,1 ათასი ლარი;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, საკასო ხარჯმა შეადგინა - 13,4 ათასი ლარი;
5. 2015 წლის 20 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N41 შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგ“-თან აუდიტორული (300 დასკვნა) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 9,9 ათასი ლარი. 9 თვის საკასო ხარჯმა შეადგინა 3,6 ათასი ლარი.
6. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა ერთი ერთეული საექსპერტო დასკვნის (N 5000457415) მომზადება. საკასო ხარჯმა შეადგინა 0,5 ათასი ლარი.
7. 2015 წლის 23 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიასთან“ 1,3 ათასი კვ.მ შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზის, 38,0 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთის აგეგმვის საველე და კამერალურ სამუშაოებზე, უძრავი ქონებების რამდენიმე ნაწილად დაყოფის მიზნით 200 აზომვითი ნახაზის, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებში ცვლილებების მიზნით 188 აზომვითი ნახაზისა და 4900 გრძივი მეტრის სიგრძის ხაზობრივი ნაგებობების აზომვითი ნახაზის მომზადების თაობაზე, ღირებულებით 5,3 ათასი ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 0,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,5%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 54,9 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2015 წლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 220,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 214,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2015 წლის განახლდა რეგიონის საინვესტიციო საპრომოუშენო მასალები, საპრომოუშენო მასალების გამოცემა განხორციელდა ორ ენაზე, ინგლისურად და რუსულად. დაემატა ახალი ფოტომასალა, მოხდა მომზადებული ტექსტებისა და ფოტომასალის დაკაბადონება და დიზაინის შექმნა, დამზადდა 2000 ცალი ბრენდირებული ბურთულიანი საწერი კალამი, საბოლოოდ დაიბეჭდა ტექნიკურად დამზადებული საპრომოუშენო მასალები, მსხვილ საინვესტიციო პროექტებზე - ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონა და გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტის პროექტების შესახებ დამზადდა სამენოვანი ორი ვიდეო პრეზენტაცია, საინვესტიციო ფორუმის ცნობადობის ამაღლების მიზნით დამზადდა 10 ცალი სტენდი, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში განთავსებული იყო მაღალი კლასის სასტუმროებში. სულ საინვესტიციო პოტენციალის საპროუშენო მასალების მომზადებაზე გაწეულია 59,3 ათასი ლარი.

ასევე მოხდა საინვესტიციო საპრომოუშენო ვიდეორგოლის გადაღება აჭარის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. გადაღებებმა მოიცვა როგორც ქალაქი ბათუმი, ასევე აჭარის მაღალმთიანეთი. ვიდეორგოლის გადაღებების ხარჯმა შეადგინა 65,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „საერთაშორისო საინვესტიციო ტურების ორგანიზების“ ფარგლებში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის მიზნით მოეწყო ბიზნეს ფორუმი ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ ასტანაში, სადაც ჩატარდა პრეზენტაციები 100-ზე მეტი ყაზახი ბიზნესმენისთვის, რომელთა მოწვევა ყაზახეთის სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა. საინვესტიციო ტურის საერთო ხარჯმა 40,1 ათასი ლარი შეადგინა.

2015 წლის 18 სექტემბერს ჩატარდა საერთაშორისი საინვესტიციო ფორუმი, რომელიც გაიმართა ქ. ბათუმში, სასტუმრო ჰილტონში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 250 ადამიანმა. ფორუმის საორგანიზაციო ხარჯმა შეადგინა 49,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 79,3%

ქვეპროგრამა - ეკონომიკური ობსერვატორიის 2015 წლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 19,5 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება 11,1 ათას ლარს.

ეკონომიკური ობსერვატორიის მთავარი მიზანია ეკონომიკური კვლევებისა და ანალიზის წარმოება, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე ეფექტური ექსპერტულ-ანალიტიკური დახმარების გაწევა რეგიონის მთავრობისათვის. ობსერვატორიის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების აგრეგაციას და რეგიონის შესახებ არსებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის დეფიციტის შემცირებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ იქნა ორი ექსპერტი და ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, შესაბამისად მათთან გაფორმდა სამუშაო ხელშეკრულებები.

ამ ეტაპზე ობსერვატორიის ჯგუფმა განსაზღვრა სამოქმედო გეგმა და სამომავლო კვლევების მიმართულებები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 56,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 44,4%

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა, რომლის 2015 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 156,8 ათას ლარს, საკასო შესრულება 146,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა. ქობულეთის სივრცითი მოწყობის დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო 2014 წელს და გრძელდება მიმდინარე წელს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: მიმდინარე ეტაპზე დასრულდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სამუშაოების ორი ეტაპი, გაუკეთდა ანალიზი არსებულ მდგომარეობას,დაიგეგმა სამომავლო ხედვები. დამატებით დამუშავდა ქალაქ ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. აღნიშნული სამუშაო წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოს და ქ.ქობულეთში მოეწყო მისი საჯარო განხილვა. დაწყებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი დოკუმენტის დამუშავებისათვის საინფორმაციო-საძიებო სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,2%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 67,0%

პროგრამის - სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 014,7 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 962,1 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2015 წლისათვის გრძელდება ხულოს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის დასახლებაში 72 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც დაწყებულ იქნა 2014 წელს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს მოპირკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. მოპირკეთების სამუშაოები დასრულების სტადიაშია "ა" და "გ" ბლოკზე, ხოლო "ბ" ბლოკზე დაწყებულია მოპირკეთების სამუშაოები. დაწყებულია გარე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები. გაკეთდა განაცხადი სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს სახელზე ქსელზე ახალი აბონენტის დაერთების შესახებ. აღნიშნულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს შპს "სამშენებლო კომერციული კომპანია ხიდი". მიმდინარე წლის 9 თვის შედეგებით სულ დაფინანსდა 151,0 ათასი ლარი. სამშენებლო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2015 წლისათვის ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლებაში დაწყებულ იქნა 58 ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2016 წლისათვის. სამშენებლო სამუშაოებს ასრულება შპს „დაგი“,

რომელსაც ავანსის სახით ჩაერიცხა 1 798,7 ათასი ლარი. ამჟამად დასრულებულია საძირკვლისა და ზეძირკვლის მოწყობის სამუშაოები. დასრულებულია პირველი და მეორე სართულის სამონტაჟო სამუშაოები, მიმდინარეობს მესამე სართულის სამონტაჟო სამუშაოები.

2014 წელს განხორციელდა დაბა ქედაში არსებული პოლიკლინიკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რის შედეგადაც მოეწყო 12 კეთილმოწყობილი ბინა. შემსრულებელ კომპანიას მიმდინარე წლისათვის ჩაერიცხა საგარანტიო უზრუნველყოფის 3 %, ე.ი 12,4 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 97,4%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 61,9 %

პროგრამის - მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა 2015 წლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 108,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 108,3 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში ბანკის მიერ 25 ბენეფიციარზე გაცემულია სესხი, საიდანაც ერთი ბენეფიციარის მიერ მოხდა სესხის ვადაზე ადრე დაფარვა. 2015 წლის ცხრა თვეში განხორციელდა პროგრამის ბენეფიციართა - 24 მსესხებლის პროცენტის თანადაფინანსება გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 18,1 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 647,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 598,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ვლს“ (ელექტრონული ტენდერი SPA140030009) ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 199,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 146.6 ათასი ლარი;

2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „modern technikcs-XXI” (ელექტრონული ტენდერი SPA150001240) სათიბი საშუალებებისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა, ღირებულებით - 8,6 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 8,6 ათასი ლარი;

3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მურად ფუტკარაძესთან“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001233) ორგანული სასუქის

შესყიდვა, ღირებულებით - 21,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 21,9 ათასი ლარი;

4. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „გენადი გუმბერიძესთან“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001369) ბათუმის ბულვარის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 2,2 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,2 ათასი ლარი;

5. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ზადენი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150002719) სხვადასხვა მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შესყიდვა, ღირებულებით - 14,4 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 14,4 ათასი ლარი;

6. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ახალი მთვარე“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001235) გაზონის სათიბი საშუალებების შესყიდვა, ღირებულებით - 47,5 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 47,5 ათასი ლარი;

7. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დიზაინი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001215) ბუნებრივი ბალახის კორდის (ბელტი) შესყიდვა, ღირებულებით - 20,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 20,0 ათასი ლარი;

8. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროდეკორსერვისი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001178) ბულვარში უნივერსიტეტის მიმდებარედ იაპონური კუთხის მოსაწყობად ხე-მცენარეების მოწოდება-დარგვა, ღირებულებით - 19,1 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 19,1 ათასი ლარი;

9. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათგამწვანება“ (ელექტრონული ტენდერი SPA150001176) ხე-მცენარეების შესყიდვა-დარგვა, ღირებულებით -128,3 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 128,3 ათასი ლარი;

10. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მურად ფუტკარაძესთან“ (ელექტრონული ტენდერი SPA150004258) მცენარეული ნიადაგის (ტყის მიწა) შესყიდვა, ღირებულებით - 9,7 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 9,7 ათასი ლარი;

11. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/ს „ამირან მურვანიძესთან“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027880) ბათუმის ბულვარში არსებული ზოოკუთხისა და ზოოკუთხის მობინადრეებისათვის გასაწევი მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 55,6 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 41,6 ათასი ლარი;

12. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარსპეცპროექტი“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027860) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, ღირებულებით - 24,0

ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 24,0 ათასი ლარი;

13. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარგანათება“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027386) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 133,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 82,0 ათასი ლარი;

14. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სანდასუფთავება“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027128) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე დალაგება-დასუფთავების მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 599,9 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 493,0 ათასი ლარი;

15. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროდეკორსერვისი“ გაზონის დასათესად ჩრდილის ამტანი ბალახის თესლის შესყიდვა, ღირებულებით - 4,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 4,0 ათასი ლარი;

16. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „დიმარი“ სხვადასხვა სახის ხელსაწყოების გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 2,0 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 2,0 ათასი ლარი;

17. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „ზურაბ სამნიძესთან“ ველოსიპედების შესყიდვა, ღირებულებით - 3,5 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 3,5 ათასი ლარი;

18. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება „საქ.შ.სსიპ დაცვის პოლიცია“ ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე დაცვის მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით- 602,8 ათასი ლარი. საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 492,8 ათასი ლარი;

19. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (ელ. ენერგიის ხარჯი) ღირებულებით 307,5 ათასი ლარი (2015 წლის ხელშეკრულებით 280,0 ათასი ლარი, 2014 წლის ხელშეკრულებით 27,5 ათასი ლარი). საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 196,9 ათასი ლარი;

20. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „DR“ (სპეცტანსაცმლის და აქსესუარების შესყიდვა) ღირებულებით - 18,9 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია - 18.9 ათასი ლარი.

21. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „მარეთი 777“ (სანაპირო ზოლის შერჩევითი მოსწორებითი სამუსაოების შესყიდვა) ღირებულებით - 35,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია - 35,0 ათასი ლარი.

22. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ექსიმ ტრაფიკი“ (ხელოვნური საფარისა და საყვავილე ქოთნების შესყიდვა) ღირებულებით - 11,6 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია 11,6 ათასი ლარი.

23. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „მწვანე სახლი“ (ჰორიზონტალური გამწვანებნისათვის სეზონური ყვავილების შესყიდვა) ღირებულებით - 152,0 ათასი

ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია - 120,0 ათასი ლარი.

24. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ჯთ დიზაინ მეტალი“ (საბაღე სკამების შესყიდვა) ღირებულებით - 54,6 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია 54,6 ათასი ლარი.

25. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ლიკანი 2000“ (ბულვარის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების შესყიდვა) ღირებულებით - 244,8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია - 244,8 ათასი ლარი.

26. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „რალი კონტინენტალი“ (გონიო, კვარიათი და მწვანე კონცხის სანაპირო ზოლის შერჩევითი მოსწორებითი სამუშაოების შესყიდვა) ღირებულებით - 22,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილია 22,0 ათასი ლარი.

27. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ენერგოსერვისი“ (სატრანსფორმატორო პულტს შორის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ძალოვანი კაბელის ჩადების შამუშაოების შესყიდვა) ღირებულებით - 53,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადარიცხულია - 50,5 ათასი ლარი.

28. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „NEW GEORGIA” (ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში განლაგებული ბუნებრივი გრანიტის ფილების ანალოგიური ფილების AZURPLATINO და NEIROZIMBABVE-ს შესყიდვა) ღირებულებით 59,5 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადარიცხულია 59,5 ათასი ლარი.

29. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რომპეტროლ საქართველო“ (საწვავის შესყიდვა) ღირებულებით - 15,1 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 9,2 ათასი ლარი.

30. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ლუკოილ ჯორჯია“ (საწვავის შესყიდვა) ღირებულებით - 23,8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 16,7 ათასი ლარი.

31. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ (საწვავის შესყიდვა) ღირებულებით - 4,4 ათასი ლარი, საანგაროიშო პერიოდში გადახდილია 2.9 ათასი ლარი.

32. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სანდასუფთავება“ (ელექტრონული ტენდერი SPA140027128) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე დალაგება-დასუფთავების მომსახურების შესყიდვა, ღირებულებით - 38,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 17,0 ათასი ლარი.

33. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ორიემი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150018709) ბათუმის ბულვარის შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილების შეძენა ღირებულებით - 119,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 59,5 ათასი ლარი,

34. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ფელიქსი“ (ელექტრონული ტენდერი SPA150014557) ძველი ბულვარის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი დანიშნულების საპირფარეშოს მოწყობა ღირებულებით - 46,0 ათასი

ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 42,3 ათასი ლარი.

35. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათგამწვანება“ (ელექტრონული ტენდერი SPA15001183) ბზის ბუჩქების ლაბირინთის მოწყობა ღირებულებით - 24,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 24,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი - 98,2 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან - 50,5%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს სამ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამა- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 487,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 113,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 3 საჯარო სკოლის მშენებლობა (ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლა, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა, ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლა) და 8 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირისა და ძირკვაძეების საჯარო სკოლები, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა, ქალაქ ბათუმის N26, N27 და N20 საჯარო სკოლები, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლა). საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის საჯარო სკოლის მშენებლობა, რეაბილიტირებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლს გათბობის სისტემა და ქალაქ ბათუმში დასრულებულია N27 საჯარო სკოლის შენობის ფასადი და N26 საჯარო სკოლის პირველი სართულის რეაბილიტაცია, სადაც 2016 წლიდან დაგეგმილია ინკლუზიური ჯგუფის განთავსება. დასრულების პროცესშია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის, ქ. ბათუმის N20, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში აუთვისებელი დარჩა 374,3 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით, სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის მშენებლობა გეგმა გრაფიკის მიხედვით უნდა დასრულებულიყო მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში, მაგრამ მშენებელი კომპანიის (ი/მ გოჩა აბაშიძე) მიზეზით სამუშაოები გათვალისწინებულ ვადაში ვერ დასრულდა, რისთვისაც მშენებელს ერიცხება პირგასამტეხლო ყოველ გადაციელბულ დღეზე. სსიპ ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლის მშენებლობას ახორციელებს შპს ,,ბილდ მენეჯმენტი", საანგარიშო პერიოდში სამუშაოები სრულდება გეგმა-გრაფიკის მიხედვით, თუმცა ანგარიშსწორება ნაწილობრივ შეჩერებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (ხელშეკრულების 5.4 პუნქტის შესაბამისად სამინისტრომ შესასრულებელი სამუშაოების დიდ ნაწილზე შეაჩერა

ანგარიშსწორება, რადგანაც ამ ეტაპისთვის შესრულებულია მხოლოდ დემონტაჟის, მიწის და საძირკვლის სამუშაოები და ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლო შემთხვევაში არ მოხდეს დარჩენილი სამუშაოებისათვის დამატებითი თანხების მოძიების საჭიროება) და მისი ანაზღაურება მოხდება შემდგომში წარმოდგენილი მოთხოვნის პარალელურად. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვეპროგრამის ფარგლებში სრულად იყო გათვალისწინებული, თუმცა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის დროს დადგინდა, რომ შენობა საჭიროებდა გამაგრებით სამუშაოებს, შესაბამისად საჭირო დარჩა პროექტის შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან, რამაც გააჭიანურა ტენდერის გამოცხადება. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის რეაბილიტაციასა (სამუშაოებს აწარმოებს შპს ,,ლადა") და სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის მშენებლობაზე (სამუშაოებს ახორციელებს შპს „ვანმშენი“) საანგარიშო პერიოდის სამუშაოები დასრულებულია და საანგარიშო პერიოდში დარჩენილი რესურსის გადარიცხვა განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,0 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 44,8%

ქვეპროგრამის - საპენსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 805,3 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი - 665,7 ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია დაბა შუახევის საპენსიონო კორპუსის მშენებლობა, რომლის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებდა შპს ,,გია". ასანაზღაურებელი დარჩენილია მხოლოდ ნაწილი თანხა, რომელსაც სამინისტრო დააფინანსებს ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საპენსიონო კორპუსის სრული რეაბილიტაცია დროითი გეგმის მიხედვით. სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია საანგარიშო წლის ბოლოს. რეაბილიტაცია მიმდინარეობს ორი ტენდერის ფარგლებში. პირველ ტენდერზე ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „კომპანიონთან“. მეორე ტენდერის გამოცხადება განაპირობა სამუშაოების წარმოების დროს გამოვლენილმა გარემოებებმა და ტენდერის საფუძველზე დარჩენილმა ეკონომიამ, მეორე ტენდერით მიმდინარეობს შენობის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია.

დაფინანსებულია საავტორო და ტექნიკურ ზედამხედველობის ხარჯები.
აგრეთვე ქვეპროგრამა ითვლისწინებს რეაბილიტირებული პანსიონის შენობების ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვას. საანგარიშო პერიოდში ინვენტარის ნაწილი შეტანილია პანსიონებში, სრული შეტანა დასრულდება ოქტომბრის თვეში. დაფინანსება განხორციელდება ინვენტარის სრულად მოწოდების შემდეგ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,7 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 41,9%

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით აღჭურვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 144,6 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი - 128,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სასკოლო ინვენტარისა და ლაბორატორიული აღჭურვილობისათვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულია სამი ტენდერი:

სასკოლო ინვენტარზე (მერხი, სკამი, მასწავლებლის მაგიდა, კარადები) ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასთან“ თანხით 128,6 ათასი ლარი, რომელიც სრულად მოწოდებული და დაფინანსებულია;

სასკოლო ლაბორატორიების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,ჯეო დეკორთან" თანხით 92,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად მოწოდება უნდა დასრულდეს ნოემბრის თვის ბოლომდე, რის შემდეგაც განხორციელდება ანგარიშსწორება;

სასკოლო დაფებზე ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,პირამიდასთან" თანხით 15,6 ათასი ლარი. დაფების ნაწილი მოწოდებულია, სრული მოწოდება დასრულდება ოქტომბრის თვის ბოლოს და შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდების დასრულების შემდეგ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,9 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 52,6%

ქვეპროგრამის - სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 209,1 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი - 198,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მიმდინარეობს დაბა ხულოს, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჭარნალისა და ერგეს სოფლების, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახალვაშოსა და ცეცხლაურის #1 საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია. სამუშაოებს ახორციელებს შპს „ლადა“. საანგარიშო პერიოდში ანაგარიშსწორება განხორციელებულია წარმოდგენილი სამუშაოების მიხედვით, დროითი გეგმის მიხედვით, რეაბილიტაციის დასრულება დაგეგმილია ოქტომბრის თვის ბოლოს, საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,0 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 56,8%

პროგრამა - განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის 2015 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 94,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 79,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2015-2016 სასწავლო წლისათვის მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში 30 სხვადასხვა საგნის მასწავლებელი დაასაქმა: ხულოს მუნიციპალიტეტში - 11 მასწავლებელი, შუახევის

მუნიციპალიტეტში - 10, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტში - 9 მასწავლებელი. სულ 24 საჯარო სკოლაში შეივსო სხვადასხვა საგანში არსებული მასწავლებლის დეფიციტი.

საანგარიშო პერიოში დარჩენილი 15,6 ათასი ლარი რესურსი გამოყენებული იქნება საანგარიშო წლის ბოლომდე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 83,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,7 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 76,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 76,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული და ახალაშენებულია 25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს შესაბამისი პირობები, შეივსო 396 დასახელების მხატვრული და სხვა ლიტერატურით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0%

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 598,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 597,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 451 სტუდენტი (2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრი) და 147 სტუდენტი (2015-2016 სასწავლო წლის პირველი სემესტრი).

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 64,6%

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 146,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 129,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 სტუდენტის სწავლა საზღვარგარეთ, ორი აპლიკანტის კვალიფიკაციის ამაღლება, ჩატარებულია 8 საჯარო ლექცია და 3 აპლიკანმტმა მიიღო მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში. მოეწყო ერთი საზაფხულო სკოლა, ჩატარების ადგილი ქალაქი ბათუმი, ჩამტარებელი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აუთვისებელი რესურსი 16,1 ათასი ლარი გამოწვეულია ძირითადად შემდეგი გარემოებებით: სწავლება საზღვარგარეთ - ერთი სტუდენტის მიერ 4,4 ათასი ლარის ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო თანხა უკან დაბრუნდა ბიუჯეტში; კვალიფიკაციის ამაღლება - ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო სამი გამარჯვებულის შერჩევა დაფინანსების მიზნით, საკონკურსო კომისიამ მხოლოდ ორ აპლიკანტს გაუწია რეკომენდაცია, რამაც გამოიწვია 5,0 ათასი ლარის აუთვისებლობა; საჯარო ლექცია - საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში კომისიის მიერ შერჩეული განაცხადები არ ითხოვდა პროგრამით დაგეგმილი რესურსის

ანაზღაურებას, რამაც გამოიწვია 4,2 ათასი ლარის ეკონომია, რაც ათვისებული იქნება წლის ბოლომდე; სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა - სამინისტროს კომისიის მიერ შერჩეული იქნა 4 აპლიკანტი, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 აპლიკანტის კონფერენციაში მონაწილეობა, ერთმა აპლიკანტმა არ წარმოადგინა საავანსო დოკუმენტაცია, რის გამოც ანგარიშსწორება 1,7 ათასი ლარის მოცულობის განხორციელდება ხარჯვის დოკუმენტიის წარმოდგენის შემდეგ, 0,8 ათასი ლარის ეკონომია შექმნილია ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობის პუნქტში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 57,9 %

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 8,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში 4 სტაჟიორი გაიგზავნა საზღვარგარეთ, საფრანგეთში ქ. ბეზანსონში ჟურნალისტის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ესპანეთში ქ.ბარსელონაში არქიტექტორის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საფრანგეთში ქ.გრენობლში სასტუმროს მიმღების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და იტალიაში ქალაქ პერუჯაში საერთაშორისო კომუნიკაციების ასისტენტის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

აუთვისებლობა გამოწვეულია იმ მიზეზის გამო, რომ ვერ მოხერხდა საზღავრგარეთიდან უცხოელი სტაჟიორის მიღება და საქართველოდან უცხოეთში სტაჟიორის გაგზავნა გართულებული სავიზო რეჟიმის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 43,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 31,3 %

პროგრამა - განათლების ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სასკოლო კლუბების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 32,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 31,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 14 სასკოლო კლუბის ინიციატივა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 91,1 %

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 55,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 51,9 ათას ლარს.

განხორციელდა საგნობრივი ოლიმპიადა 6 საგანში - გამოვლინდა 26 დიპლომის მფლობელი გამარჯვებული (1, 2 და 3 ადგილი), გაცემულია 51 სიგელი. დაფინანსდა კონკურსის წესით შერჩეული 10 მოსწავლის თურქეთის სამეცნიერო ბანაკში მონაწილეობა და 147 ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ექსკურსია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 54,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2015 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ოთხ პროგრამას.

პროგრამის - საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 73,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 63,0 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი - ბრიტანელმა ექსპერტმა გაუწია კონსულტაცია და ჩაატარა ვორკშოპი საშემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თანხით 16,0 ათასი ლარი.

აუდიტორიის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პრაქტიკა და კონსულტაციები - 4 ბრიტანელი კონსულტანტი ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა პროგრამაში ჩართულ 4 ორგანიზაციასთან, აუდიტორიის მოზიდვისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხებზე, რომელზეც საანგარიშო პერიოდში ანგარიშსწორება განხორციელდა 23,0 ათასი ლარი.

პროფესიული განვითარების მიზნით აჭარის კულტურის სფეროს 4 წარმომადგენლის ვიზიტი და მონაწილეობა ედინბურგის ფესტივალზე, რომელზეც განხორციელდა ანგარიშსწორება 24,0 ათას ლარზე.

პროგრამაში რესურსის აუთვისებლობა 10,0 ათასი ლარი გამოწვეულია შემდეგი მიზეზების გამო, კერძოდ:

პროგრამის კოორდინატორის ადგილი ვაკანტურია, ფუნქციებს დროებით ასრულებენ კულტურის დეპარტამენტის სპეციალისტები, რაც იწვევს 1,7 ათასი ლარის აუთვისებლობას (ხელფასი, საკომუნიკაციო და სამივლინებო ხარჯი);

პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში 2,0 ათას ლარზე გაფორმებულია ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ოქტომბრის თვეში მოხდება თანხის გადარიცხვა.

შემოქმედებითი ღონისძიების ფარგლებში დარჩენილი რესურსი 6,3 ათასი ლარი გამოწვეულია იმ მიზეზის გამო, რომ საანგარიშო პერიოდში შერჩეულია პარტნიორი თეატრალური კომპანია ბრიტანეთში, მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივ სპექტაკლზე ,,ზამთრის ზღაპარი", ბრიტანელმა რეჟისორმა ტარეკ ისკანდერმა ჩაატარა მსახიობების შერჩევა, მომზადებულია სცენოგრაფია. თანხის ანაზღაურება განხორციელდება პრემიერის ჩატარების შემდეგ.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 86,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 32,5 %

პროგრამის - აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 152,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 117,7 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში კინოპროექტების დაფინანსებისთვის (ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა) გამოყოფილი თანხის გახარჯვა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში კონკურსებში შემოსულ განაცხადებს შორის გამარჯვებული პროექტების გამოვლენის შემდეგ. ჩატარდა 2 კონკურსი და გამოვლინდა 6 გამარჯვებული პროექტი: 3 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 1 დოკუმენტური და 2 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტები, თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

მიმდინარეობს ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი" - ანიმაციური ფილმების ჩვენება, ასევე ვორქშოპები და მასტერკლასები ქ. ბათუმში. აგრეთვე ჩატარდა ანიმაციური ფილმის ჩვენებები ქედაში, ხულოში და ქობულეთში.

საგანმანათლებლო აქტივობები (მათ შორის საზაფხულო კინოსკოლა) და საგამომცემლო მხარდაჭერა: ჯიფონის კინოფესტივალზე გაიგზავნა საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის მიერ კონკურსით შერჩეული ერთი ბათუმელი მოსწავლე, კინოსკოლის 25 მონაწილე დაესწრო 2014 წლის კინოსკოლის შემაჯამებელ შეხვედრას ქ. თბილისში, BIAFFის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ბათუმის კინოსკოლა“, რეგიონის 15 სკოლაში მიმდინარეობს პროექტი „კინო სკოლაში“.

პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დამზადდა სარეკლმო ბანერები ქართულ და ინგლისურ ენებზე, სასაჩუქრე ბრენდირებული ღვინო სამინისტროს ლოგოთი.

პროგრამაში 34,9 ათასი ლარის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორით, კერძოდ, გამარჯვებული კინო პროექტების დაფინანსება განხორციელდება გადაღებების სპეციფიკიდან და პერიოდიდან გამომდინარე (ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბრის თვის დასაწყისი).

პროგრამის შესრულების პროცენტი: 77,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 29,4 %

პროგრამის - ფოლკლორის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 108,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 101,5 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გაიმართა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების, კულტურის ცენტრებისა და სახელოვნებო სკოლების სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, ჟიურის შეფასების და გადაწყვეტილების საფუძველზე გამოვლინდა 14 გამარჯვებული ანსამბლი და ინდივიდუალური შემსრულებლები (როგორც სიმღერაში, ასევე ცეკვაში), რომლებსაც გადაეცათ:

უმაღლესი ჯილდო („გრანპრი“ ოქროს მედალი);

პირველი ადგილი (ოქროს მედალი);

მეორე ადგილი (ვერცხლის მედალი);

მესამე ადგილი (ბრინჯაოს მედალი);

ასევე, სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდა სამი ქორეოგრაფიული, სამი სასიმღერო ანსამბლი და შემსრულებელი.

გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და წამახალისებელი საჩუქრები (მუსიკალური ინსტრუმენტები, ჭიბონი და ფანდური). ოლიმპიადის მონაწილე ყველა ანსამბლს და ინდივიდუალურ შემსრულებელს გადაეცა სიგელი. რაზეც გაწეულია 24,2 ათასი ლარი.

პროგრამის „ფოლკლორის ხელშეწყობა“ ფარგლებში ორ ეტაპად გათვალისწინებულია სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების შეძენა. პირველ ეტაპზე სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრებთან არსებული ფოლკლორული ანსამბლებისათვის სასცენო კოსტუმების შეძენის მიზნით გამოცხადდა ტენდერი, სადაც გაიმარჯვა ი/მ ირმა დიასამიძემ, გაფორმდა ხელშეკრულება და მოხდა ანგარისწორება თანხით 35,0 ათასი ლარი. ხოლო მეორე ეტაპზე ტენდერის შედეგად გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება 100,0 ათას ლარზე, საანგარიშო პერიოდში ავანსის სახით გადარიცხულია 40,0 ათასი ლარი.

დამზადდა სასაჩუქრე ჩანთები, ბლოკნოტები და ჭიქები პროგრამის ლოგოთი, ასევე საინფორმაციო ფლაერები, თანხით 2,3 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 94,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 59,7 %

პროგრამის - კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია მოიცავს ორ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ერთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 534,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 525,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა: დაფინანსდა თურქეთის რესპუბლიკაში სსიპ ,,აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი"-ს მონაწილეობა. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის - „ჩაქურა“ ქალაქ თბილისში გასტროლის - „ქართული ცეკვა ევროპულ სცენაზე“ - შუახევის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლის გასტროლი ბულგარეთში. დაფინანსდა „ჩვენებურების“ მეთოთხმეტე საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში ,,ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „მხედრული“-ს მონაწილეობა. საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში - FESTIVAL STARS - 2015 ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“ II კლასის მოსწავლეების - რევაზ დოლიძისა და ელენე ტაბაღუას მონაწილეობა. ესპანეთის ქ. ბარსელონა-კალელიას ევროპის საერთაშორისო საგუნდო კონკურსში ა(ა)იპ რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მონაწილეობა. კორეის ქ. ჩონანში ფოლკლორის

მსოფლიო ჩემპიონატში სსიპ აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „ხორუმი" მონაწილეობა. თურქეთის რესპუბლიკის ქ. იზმირში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ა(ა)იპ ,,ექსპერიმენტალური თეატრი ყველაგან“ მონაწილეობა და სხვ.;

2. ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ორგანიზება: დაფინანსდა სსიპ ,,აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი თბილისში; საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“. ოჯახში დამზადებული ღვინის VIII ფესტივალი. საქართველოში აკრედიტირებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ელჩებისა და მათი მეუღლეების მიღება. ზაურ ლაზიშვილისა და თემურ ბიბილეიშვილისათვის ვარსკვლავების გახსნა. პროექტი - „თანამედროვე დრამატურგიის პოპულარიზაცია“; სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. პროექტი ,,იუმორინას კონცერტი ბათუმში". ლეო ანთაძის მონო-სპექტაკლის ,,ბახტრიონი" გამართვა აჭარის მუნიციპალიტეტებში;

3. სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერა: დაფინანსდა წიგნი-ალბომი „აჭარის საგანძური“ ჩასადები ხელნაკეთი სასაჩუქრე ყუთების დამზადება. პროექტი - „მეგობრობის პალიტრა“. ხასან ჰელიმიშის ნამუშევრების გამოფენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. პროექტები - „ბათუმის ფრთები“, „თეატრი კედელთან“, „ურბანული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“, „ოდესა/ბათუმი ფოტოდღეები 2015“ და სხვ.;

4. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა: ეტაპობრივად ფინანსდება პროექტი ,,მასტერკლასები პროფილურ საგნებში - ხალხურ-სცენური ცეკვა", დაფინანსდა ასევე ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის მოსწავლის თამაზ მჟავანაძის მონაწილეობა. სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ გიუმრში მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე ა(ა)იპ ,,ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის" პედაგოგ ქეთევან რაზმაძისა და მოსწავლე ელენე ტაბაღუას მონაწილეობა. ,,მარია შურის სახელობის პიანისტ-შემსრულებელთა კონკურსი". პროექტები -„ბათუმის სახელოვნებო სკოლები მესხეთში“ და „ახალციხის სამხატვრო სკოლა ბათუმში“ და სხვ.;

5. პროექტი - „აჭარის რეგიონში შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“;

6. პროექტი - „ბათუმის ეზოს ამბები“;

7. პროექტი - Batumi Street Art Festival;

8. კონცერტები ტურისტულ სეზონზე: „ფოლკლორული საღამო“, „ქალაქური სიმღერის საღამო“, ჯგუფის „ეგარი“ კონცერტი, ჯგუფის „ცისფერი ტრიო“ კონცერტი, ანსამბლ „თეატრონის“ და ჯგუფის „THE GEORGIAS“ კონცერტი.

9. თავისუფალი პროექტების და ახალი ინიციატივების მხარდაჭერა: კონკურსის შედეგად გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 68,9 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2015 წელს ახორციელებს ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 612,6 ათას ლარს. საკასო ხარჯი 501,8 ათას ლარს.

დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობების განხორციელება: 409,6 ათასი ლარით დაგეგმილი იყო ბათუმში, ხულოს ქ.10-ში მდებარე ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების ანაზღაურება და და ხაბელაშვილების ხიდის საკონსერვაციო სამუშაოების ნაწილის შესყიდვა. 104,0 ათასი ლარით არქეოლოგიური გათხრების თაობაზე წიგნის ბეჭდვის და არქეოლოგიური გათხრების წარმოების მომსახურების შესყიდვა, ხოლო 99,0 ათასი ლარით პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ბათუმში, ხულოს ქ.10-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით 325,6 ათასი ლარი. ასევე დაიბეჭდა წიგნები 2013 წლის არქეოლოგიური გათხრების თაობაზე და მოეწყო ოთხი არქეოლოგიური ექსპედიცია თანხით 78,2 ათასი ლარი. მიმდინარეობს პეტრას ციხისა და ხაბელაშვილების ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა დაფინანსებამ შეადგინა შესაბამისად 85,9 ათასი ლარი და 12,1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 110,8 ათასი ლარი:

ბათუმში, ხულოს ქ.10-ში მდებარე ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან და ხაბელაშვილების ხიდის საკონსერვაციო სამუშაოების ნაწილის შესყიდვიდან ხელშეკრულებით შექმნილი ეკონომია შეადგენს 71,9 ათას ლარს.

პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ხოლო საანგარიშო პერიოდში სამუშაოების მწარმოებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტი სრულ თანხაზე, შესაბამისად საანგარიშო პერიოდში სხვაობამ შეადგინა 13,1 ათასი ლარი.

უამინდობის გამო არქეოლოგიური ექსპედიციები დაიწყო დაგვანებით, რამაც განაპირობა 25,8 ათასი ლარისაუთვისებლობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 81,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 34,5 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს სამ პროგრამას: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამებს:

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ექვსი ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის - სპორტული ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 981,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 905,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამით დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 306 ღონისძიება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 75,0 ათასი ლარი 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მარტი-აგვისტოს თვეების საორგანიზაციო ხარჯების გასაწევად, ხოლო 30,0 ათასი ლარი ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატის ორგანიზებისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 68,8 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 260,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 257,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში კერძოდ ევროპის, მსოფლიოს, საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში, საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებში, ასევე ბაქოს ევროპულ თამაშებში ჭიდაობის, ველოსპორტის, ძიუდოს, ტანვარჯიშის, მშვილდოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, მკლავჭიდის, ძალოსნობის, ბილიარდის, მძლეოსნობის 244 სპორტსმენსა და მწვრთნელზე გაცემული იქნა ერთჯერადი ფულადი ჯილდოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 73,5 %

ქვეპროგრამის - სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 322,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 257,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტის შვიდი სახეობის ხელშეწყობას, კერძოდ: ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, რაგბის, კალათბურთისა და ინდორ ჰოკეის შემდგომი პოპულარიზაციას და განვითარებას, სადაც მონაწილეობას ღებულობს ჩამოთვლილი სპორტის სახეობის ნაკრები გუნდების არანაკლებ 190 სპორტსმენი, 12 მწვრთნელი და 7 კოორდინატორი.

ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 7

კოორდინატორი. მწვრთნელებისა და კოორდინატორებისათვის გათვალისწინებული იქნა ყოველთვიური ანაზღაურება. 9 თვის განმავლობაში ჩატარდა 8 სასწავლო-საწვრთნო შეკრება და 16 სამატჩო შეხვედრა ფეხბურთში, კალათბურთში, ინდორ ჰოკეიში, ფრენბურთში, რაგბში, ხელბურთსა და წყალბურთში. სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო დარბაზებით.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 79,9 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 58,2 %

ქვეპროგრამის - აჭარის სპორტის სახეობათა ნაკრები გუნდების მზადება „ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი – 2015“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 154,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 154,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

თითოეული სახეობების მიხედვით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია 7 კოორდინატორი. მწვრთნელებისა და კოორდინატორებისათვის გათვალისწინებული იქნა ყოველთვიური ანაზღაურება. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 14 სამატჩო შეხვედრა და 13 სასწავლო საწვრთნო შეკრება, სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო დარბაზებით.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 74,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 72,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური 187,5 ლარიანი დახმარება გაეწია 32 ბენეფიციარს. ქვეპროგრამას დაემატა 8 ბენეფიციარი სექტემბრის თვეში, გაწეული იქნა ხარჯი 55,4 ათასი ლარის ოდენობით, არასაპენსიო ასაკის საქართველოს დამსახურებულ 8 მწვრთნელზე გაცემული იქნა 187,5 ლარიანი დახმარება სულ 1,5 ათასი ლარი, იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 26 ბენეფიციარს სულ თანხით 14,3 ათასი ლარი და საპენსიო და არასაპენსიო ასაკის სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა გარდაცვალების შემთხვევაში 1 ოჯახს გადაეცა ერთჯერადი დახმარება 1,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 67,5 %

ქვეპროგრამის - სპორტული ინვენტარის შეძენა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3,0 ათას ლარს, დაფინანსება არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამის თანახმად მიმდინარე წელს უნდა მოხდეს სპორტის ცხრა სახეობის 16 დასახელების 139 ერთეული ინვენტარის შეძენა. 3,0 ათასი ლარი გათვალისწინებული იქნა ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯის გასაწევად. დეპარტამენტის

მიერ აღნიშნული ინვენტარის შესაძენად ოქტომბრის თვეში გამოცხადდება ტენდერი, რომლის შემდეგაც მოხდება ზემოაღნიშნული ხარჯის გაწევა.

პროგრამის - ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 362,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 341,4 ათას ლარს.

ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წლის განმავლობაში 10 ღონისძიების ორგანიზება. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ფორუმი რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი - ღონისძიებაში ჩართული იყო და მონაწილეობდა აჭარის უმაღლესი სასწავლებლების 50 სტუდენტი, რომელთაც სამი დღის განმავლობაში ჩაუტარდათ ტრენინგ-სემინარები და გადაეცათ სერთიფიკატები, თანხით - 22,0 ათასი ლარი;

2. ინტელექტუალური თამაშები - (აჭარის სასკოლო ჩემპიონატი, ბათუმის სასკოლო ჩემპიონატი, აჭარის სტუდენტური ჩემპიონატი, სტუდენტური და მუნიციპალური ჩემპიონატი, საერთაშორისო ჩემპიონატი), რომლისთვისაც საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 23,1 ათასი ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 12,3 ათასი ლარი საერთაშორისო ფესტივალი შავი ზღვის მეოთხე ღია თასის ორგანიზების მხარდაჭერის მიზნით. სულ გაწეულია ხარჯი 33,7 ათასი ლარი.

3. მხიარული რეგიონი - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ერთი მოსამზადებელი ეტაპი და ერთი ფინალური თამაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 80-მა ახალგაზრდამ და 800-ზე მეტმა დამსწრემ, ხარჯი გაწეულია 16,5 ათასი ლარი.

4. ერთჯერადი თავისუფალი პროექტების პუნქტიდან დაფინანსდა 15 პროექტი:

ა) „ევროკავშირის მოდელირება“ 6,0 ათასი ლარი;

ბ) „ლეგენდების გზამკვლევი“ 6,8 ათასი ლარი;

გ) ბათუმის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში - 6,6 ათასი ლარი;

დ) ერთად ვითანამშრომლოთ უკეთესი მომავლისთვის - 6,4 ათასი ლარი;

ე) წიგნი და წიგნიერება - 1,7 ათასი ლარი;

ვ) იგრძენი ბათუმის გულისცემა 5,2 ათასი ლარი;

ზ) ვიცხოვროთ ჯანმრთელი ცხოვრების წესით - 7,0 ათასი ლარი;

თ) ოდესა ბათუმის ფოტო დღეები - 4,5 ათასი ლარი;

ი) „ბანაკი-ოცნების ქალაქი“ - 7,4 ათასი ლარი;

კ) „ევროპული სამართალი სამხრეთ კავკასიაში“- 7,0 ათასი ლარი;

ლ) „Black Sea Sound“ -6,0 ათასი ლარი;

მ) ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე -1,7 ათასი ლარი;

ნ) სამეწარმეო აზროვნებისა და ლიდერული უნარჩვევების განვითარება - 7,0 ათასი ლარი;

ო) NGO-მენეჯმენტი- 8,0 ათასი ლარი;

პ) „სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება ახალგაზრდებში“ – 6,6 ათასი ლარი შესრულებული იქნა სექტემბრის თვეში და ანაზღაურდა ოქტომბრის თვეში.

5. უცხოეთში სხვადასხვა ტრენინგ სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილე სტუდენტ-ახალგაზრდების მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა 40 სტუდენტის მხარდაჭერა, კერძოდ, გაწეული იქნა 39 სტუდენტის გზის ხარჯი თანხით 45,8 ათასი ლარი, ხოლო ერთი სტუდენტის მგზავრობის ხარჯი 1,1 ათასი ლარი ანაზღაურდა ოქტომბრის თვეში.

6.ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერის პუნქტიდან გაწეულია შემდეგი ხარჯები:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კლუბი - 8,0 ათასი ლარი;

ბ) გამომგონებელთა კლუბი - 7,0 ათასი ლარი;

გ) ლიტერატურული კლუბი - 8,7 ათასი ლარი;

დ) ხელოვანთა კლუბი - 4,1 ათასი ლარი;

ე) სადისკუსიო კლუბი - 6,1 ათასი ლარი.

ხელოვანთა კლუბისა და ლიტერატურული კლუბის მიერ შესრულებული იქნა სექტემბრის თვეში 2,1 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება, რომელიც ანაზღაურდა ოქტომბრის თვეში.

7. სტუდენტური დღეები - ჩატარდა სპორტული და შემეცნებითი ტიპის ღონისძიებები, ჩართულია 1000 - მდე მაყურებელი და 500 მონაწილე. გაწეულია ხარჯი 33,0 ათასი ლარი;

8. „მან სან კანის შავი ზღვის ლიგა“ - ღონისძიებაში მონაწილეობდა 10 გუნდი, 100 მონაწილე და 4500 - მდე მაყურებელი - გაწეულია ხარჯი 27,0 ათასი ლარი.

9. ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი - ბანაკის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგ-სემინარები, ასევე კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული ღონისძებები - გაწეულია ხარჯი 36,5 ათასი ლარი;

10. ქალაქური თამაშები - ღონისძიება განხორციელდა 3 ეტაპად. თამაშებში ჩართული იყო 10-მდე გუნდი და მოხალისეები, ღონისძიებაში ჩართული იყო 500-ზე მეტი ახალგაზრდა - გაწეულია ხარჯი 11,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 83,1 %

ა(ა)იპ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ახორციელებს ერთ პროგრამას - 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: ა(ა)იპ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მართვისა და 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მზადების ხელშეწყობა.

2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მზადების ხელშეწყობის ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4,1 ათას ლარს, დაფინანსება არ განხორციელებულა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2015 წელს ახორციელებს შვიდ პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით და მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამა - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 045,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 045,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1989 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1520.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 75,3 %

ქვეპროგრამა - გულის ქირურგია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 880,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 876,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 345 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 273.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 73,0 %

ქვეპროგრამა - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 252,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 231,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 80 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 62.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 91,7 %

ქვეპროგრამა - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 415,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 415,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 1646 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1407.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 88,1 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამა - სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 593,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 562,8 ათას ლარს.

თემის სამედიცინო პუნქტის 228 სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების (ვიზიტების) რაოდენობამ, როგორც სამედიცინო პუნქტში, ასევე ბინაზე შეადგინა 169 221. ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება, თემის სამედიცინო პუნქტები უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 71,8 %

ქვეპროგრამა - სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 196,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 196,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მაღალმთიან მუნიციპალიტეტში დასაქმებულია სულ 42 ექიმი, ხოლო ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ 64 ექიმი, შესაბამისად 106 371 პაციენტს გაეწია უწყვეტი სამედიცინო მომსახურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 72,6 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამა - ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 385,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 384,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 679 ბავშვზე გაცემულია 1986 ვაუჩერი, დაფინანსებულია 1650 ვაუჩერი, 336 ვაუჩერის მფლობელ ბენეფიციარებს უტარდება რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 69,0 %

ქვეპროგრამა - სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 138,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 76,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 520 ვაუჩერი, დაფინანსდა 433 ვაუჩერი, 87 უტარდება რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 55,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 49,5 %

ქვეპროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 24,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 6,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 23 ვაუჩერი, დაფინანსდა 14 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 25,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 25,9 %

პროგრამა - მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამა - 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 47,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 45,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 45 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 95,7 %

ქვეპროგრამა - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 114,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 108,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 53 ახალშობილი ტყუპის ოჯახს, 108 ახალშობილ ტყუპებისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 78,8 %

ქვეპროგრამა - 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 79,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 79,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული 19 მეომრის ოჯახს გაეწია სოციალური დახმარება თითოეულ ოჯახს 3,0 ათასი ლარი და ომში დაღუპულთა 22 დედესა და მეუღლეს ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

ქვეპროგრამა - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 470,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 429,4 ათას ლარს. აღნიშნული დახმარების ფარგლებში 75 პაციენტის მკურნალობისათვის გამოიყო 371,1 ათასი ლარი, 6 ოჯახს ერთჯერადი მატერიალური დახმარებისათვის გამოეყო 50,4 ათასი ლარი, მედიკამენტების შესაძენად ორ მოქალაქეს გამოეყო 16,0 ათასი ლარი, სხვადასხვა სოციალური დახმარებებისათვის გამოიყო 33,3 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდისათვის 13 პაციენტის მკურნალობის ხარჯების დასაფინანსებლად გაცემულია გარანტია.

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამა - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 120,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 120,0 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში გაცემულია 325 ვაუჩერი, დაფინანსდა 298 ვაუჩერი, რომლის საფუძველზეც გაიცა 300 აპარატი. სხვადასხვა მიზეზით გაუქმდა 27 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

ქვეპროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებების უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 48,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 48,0 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში გაცემულია 197 ვაუჩერი, დაფინანსდა 160 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 80,0 %

ქვეპროგრამა - უსინათლო მოქალაქეების უზრუნველყოფა უსინათლოთა „თეთრი“ ხელჯოხებით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 0,6 ათას ლარს.

საანგარიშგებო პერიოდში გაცემულია 13 ვაუჩერი, დაფინანსდა 12 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 60,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,0 %

პროგრამის - მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 103,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 89,6 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა"-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართულია 20 ბენეფიციარი. 89,6 ათასი ლარით დაფინანსდა მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 72,2 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხვრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის -დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 339,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 230,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა.

აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 532 კერის კვლევა შესაბამისი 589 ვიზიტით, მ. შ. ბათუმი – 294 კერა, 328 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 94 კერა, 93 ვიზიტი, ხელვაჩაური – 115 კერა, 137 ვიზიტი, ქედა – 6კერა, 7 - ვიზიტი, შუახევი – 15 კერა, 16 ვიზიტი, ხულო – 8 კერა, 8 - ვიზიტი.

საანგარიშო პერიოდში რეგიონში დაფიქსირდა ანტირაბიული სამკურნალო-პროფილაქტიკური კურსის 711 შეწყვეტილი შემთხვევა. ცოფზე საეჭვო კერაში განხორციელდა 138 ვიზიტი; ხოლო ვეტსამსახურში 274 საკომუნიკაციო ვიზიტი, სულ 412, მ.შ. ბათუმი – 96 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 211, ხელვაჩაური – 11, ქედა – 44, შუახევი – 26, ხულო – 24 ვიზიტი.

რეგიონის მალარიოგენული ტერიტორიის პასპორტიზაციის შედეგად აღირიცხა 639 ჰა , მ.შ. ანოფელოგენური 517 ჰა. საანგარიშო პერიოდში ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში გამოკვლეულ იქნა: ფიზიკური ფართობი–2253 ჰა, მ.შ.ანოფელოგენური 1564 ჰა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი– 432 620 კვ.მ, ინსექტიციდით დამუშავდა 180 000 კვ.მ გამბუზია გავრცელდა 514 ჰა ფართის წყალსატევში.

28 მაისს ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია „იყავი თანამედროვე, აირჩიე ჯანმრთელობა", მონაწილეებს გადაეცათ ფლეშ მეხსიერებები და სუვენირები.

26 ივნისი – ნარკომანიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამთავრობო და არასამთვარობო სექტორის თანამონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა, შეხვედრის მონაწილდეებს

გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. რეგიონის სკოლებსა და ბაღებში ჩატარდა „ჯანმრთელობის გაკვეთილები“. განხორციელდა 114 ვიზიტი, 189 შეხვედრა, დაესწრო 4865 მსმენელი. დამზადდა 4 ვიდეორგოლი: „C ჰეპატიტი“, „იმუნიზაცია“, „თამბაქო“, „ცოფი“.

ბ) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯუფში

საანგარიშო პერიოდში რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებში, საბავშვო ბაღებში განხორციელდა სულ 252 ვიზიტი, მ.შ. 64 ბაღის. სკრინინგი გაიარა 23 604 ბენეფიციარმა, ჩატარდა 94 416 კონსულტაცია.განხორციელდა: ბათუმში –127 ვიზიტი, 11731 ბენეფიციარი, ხელვაჩაურში -36 ვიზიტი - 3768 ბენეფიციარი, ქობულეთში-49 ვიზიტი-4443 ბენეფიციარი, ქედა - 22 ვიზიტი - 2072 ბენეფიციარი, ხულო– 18 ვიზიტი - 1590 ბენეფიციარი.

პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ჩატარებულია ინსტრუმენტული გამოკვლევები: რენტგენი-127, ექოსკოპია-173, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური გამ–ვა - 30, ვიზომეტრია 97, ავტორეფრაქტომეტრია-106, ოფთალმოსკოპია-22, სხვა-3.

სკრინინგის შემდგომი კონსულტაცია-399.

გ) c ჰეპატიტით დაავაადებულ პირთა დიაგნოსტიკა

C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი გამოკვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევები თანაგადახდის უზრუნველყოფით ცენტრის მიერ ჩატარებული იქნა სულ 884, მ.შ. I ეტაპის კვლევა – 417, II ეტაპის – 299, III ეტაპის - 73, IV ეტაპის – 95.

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების თანადაფინანსების კომპონენტით ისარგებლა 423–მა ბენეფიციარმა.

14 ბენეფიციარს ჩაუტარდა მკურნალობის პროცესის მონიტორინგით განსაზღვრული კვლევები, რისთვისაც განხორციელდა მკურნალობის მონიტორინგის 35 კვლევის თანადაფინანსება.

დ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 0–200 000 სარეიტინგო ქულის მქონე 1294 ორსული, მ.შ. ბათუმში–1103, ქობულეთში -97, ხელვაჩაურში –67, შუახევში –16, ხულოში - 11.

ე) კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობისათვის

საანგარიშო პერიოდში აჭარის მაღალმთიანეთში განხორციელდა 17 ვიზიტი, მ.შ.შუახევში –10 და ხულოში–7, ღონისძიებით ისარგებლა 724–მა ბენეფიციარმა.

პირველადი დიაგნოსტიკის დაზუსტების მიზნით ჩატარებული კონსულტაციები: ონკოგინეკოლოგის-207, ონკოუროლოგის - 239, ონკოლარინგოლოგის - 198, ინსტრუმენტულ–ლაბორატორიული გამოკვლევები: PSA-განსაზღვრა - 113, საკვერცხის ონკომარკერი -CA-125 -177, კუჭ–ნაწლავის ონკომარკერი -CA-19-9-193, კარცინოემბრიონალური ანტიგ. - CEA -190, სარძევე ჯირკვლის ექოსკოპია-205, PAPტესტი–57.

ვ) სმენის სკრინიგი ახალშობილებში

საანგარიშო პერიოდში სმენის პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა - 434 ახალშობილს. მათ შორის: ქობულეთი - 297, ქედა - 17, შუახევი- 3, ხულო - 117,

განხორციელდა მეორადი სკრინინგი –15, ტიმპანომეტრია –15.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 67,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 60,4 %

დასაქმების ხელშეწყობის მხვრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს ორ პროგრამას, დასაქმების ხელშეწყობის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროფესიული გადამზადების პროგრამას.

პროგრამაზე - პროფესიული გადამზადება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 100,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 98,9 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

შეირჩა 250 ბენეფიციარი. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლენილ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღაში'' დაიწყო ბენეფიციართა გადამზადება შემდეგ სპეციალობებში: სასტუმროს საქმის წარმოება, სარესტორნო საქმის წარმოება, მზარეული, კონდიტერი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, ამწის ოპერატორი, შემდუღებელი, მასაჟისტი და რკინა-ბეტონის საქმის მწარმოებელი.

პროგრამის მოსარგებლე 250 ბენეფიციარიდან 247 მოქალაქე გადამზადდა პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალობებში. პროგრამით მოსარგებლე 198 ბენეფიციარმა წარმატებით გაიარა სწავლების კურსი, ჩააბარა საბოლოო შეფასების გამოცდა და მათზე გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი. 10 ბენეფიციარი დასაქმდა სხვადასხვა პოზიციებზე. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ბენეფიციართა დასასაქმებლად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 98,9 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სამექანიზაციო საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის, მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისა და მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - სამექანიზაციო საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 428,7 ათას ლარს, რაც დაფინანსებულია მთლიანად.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ელექტრონული ტენდერის (SPA-150001767) შედეგად შპს „აგროინვესტსერვის“-თან ღირებულებით - 1 378,9 ათასი ლარი, გაფორმებული ხელშეკრულების (N02-02/37 05.03.2015წ) თანახმად მოწოდებულია 340 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხძ, ძალამრთმევი ლილივით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით; 32 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხძ, ძალამრთმევი ლილივით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით და სეგმენტურთათებიანი საცელით და 39 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხძ, ძალამრთმევი ლილივით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და კარტოფილის სარგავით.

ელექტრონული ტენდერის (SPA-150001765) შედეგად შპს „აგროინვესტსერვის“-თან ღირებულებით - 49,8 ათასი ლარი, გაფორმებული ხელშეკრულების (N02-02/19 10.02.2015წ) თანახმად მოწოდებულია 77 ერთეული მოტობლოკის მისაბმელი ურიკა.

საანგარიშო პერიოდში გაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე 411 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი და 77 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკის მისაბმელი ურიკა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

ქვეპროგრამის - მობილური შემასხურებელი აპარატით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 94,2 ათას ლარს, რაც დაფინანსებულია მთლიანად.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ორიენტთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-150001917) 61 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატების მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 94,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 94,2 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე 61 ერთეული მობილური შემსახურებელი აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

პროგრამა - მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგანაც საანგარიშო პერიოდში გეგმა მხოლოდ ორ ქვეპროგამაზე იყო გათვალისწინებული:

ქვეპროგრამის - სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 500,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 479,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

250 ერთეული სასათბურე კონსტრუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA – 150001764) გამარჯვებულთან 2015 წლის 19 მაისს შპს „გრინ ჰაუსთან“ (N02–02/58), გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ღირებულებით 479,0 ათასი ლარი (ელექტრონული ტენდერის ეკონომია – 21,0 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 250 ერთეული სასათბურე კონსტრუქცია. ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე 250 ერთეული 50 კვ.მ ფართობის სასათბურე კონსტრუქციიდან გაცემულია 160 ცალი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 95,8 %

ქვეპროგრამის - ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 84,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 84,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150002426) გამარჯვებულთან 2015 წლის 24 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შპს ,,ორიენტი" N02-02/41 ღირებულებით 84,5 ათასი ლარი) თანახმად მოწოდებულია 125 ცალი ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარი და შესაბამისად განხორციელდა ანგარიშსწორება.

საანგარიშო პერიოდში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემულია 50 ცალი ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

პროგრამაზე - მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგანაც საანგარიშო პერიოდში გეგმა მხოლოდ სამ ქვეპროგამაზე იყო გათვალისწინებული:

თაფლისსაწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 59,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 59,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გამოცხადებულ გამარტივებული ელექტრონულ ტენდერში (SPA150009084) გამარჯვებულთან 2015 წლის 16 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შპს ,,იმპერვეტი" N02-02/47 ღირებულებით 59,6 ათასი ლარი) თანახმად მოწოდებულია 100 ცალი თაფლის საწური აპარატი და შესაბამისად განხორციელდა ანგარიშსწორება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ფერმერებისა და აგრომეწარმეების შერჩევა და შესაბამისად გაცემულია 100 ერთეული თაფლის საწური აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 119,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 119,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-150002247) გამარჯვებულთან 2015 წლის 6 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შპს ,,ორიემთან" N02-02/45 ღირებულებით 119,9 ათასი ლარი) თანახმად მოწოდებულია 500 ერთეული რძის მექანიკური სეპარატორი და 50 ერთეული კარაქის დამამზდებელი აპარატი და შესაბამისად განხორციელდა ანგარიშსწორება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ფერმერებისა და აგრომეწარმეების შერჩევა და შესაბამისად გაცემულია 500 ერთეული რძის მექანიკური სეპარატორი და 50 ერთეული კარაქის დამამზდებელი აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %

მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი დანადგარით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 70,0 ათას ლარს, რაც დაფინანსებულია მთლიანად.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150002425) გამარჯვებულთან 2015 წლის 16 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შპს „SmartNet“ N02-02/39 ღირებულებით 70,0 ათასი ლარი) თანახმად მოწოდებულია 70 ცალი მარცვლეულის უხეში საკვების საფქვავი დანადგარი და შესაბამისად განხორციელდა ანგარიშსწორება.

საანგარიშო პერიოდში ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია 70 ცალი მარცვლეულის უხეში საკვების საფქვავი დანადგარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 100,0 %